

შპს "POSCH & PARTNERS"-ის წარმომადგენლობა

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლი

შპს "POSCH & PARTNERS"-ის წარმომადგენლობა

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

შპს "POSCH & PARTNERS"-ის

წარმომადგენლობა

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

ბალანსი	შენიშ ნება	31-დებ-2019	31-დებ-2018	31-დებ-2017
აქტივები				
ბრძოლვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები ნეტო	6	24 569	21 977	9 165
არამატერიალური აქტივები	7	1 315	1 315	1 315
გადავადებული საგადასახადო აქტივი				
სულ ბრძოლვადიანი აქტივები		25 883	23 292	10 480
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	3	4 221	493	
გადახდილი ავანსები და წინასწარ გაწეული ხარჯები		429	-	
საგაყრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	2	14 555 947	7 114 995	1 468 776
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	34 625	197 150	30 324
სულ მოკლევადიანი აქტივები		14 595 221	7 312 639	1 499 100
სულ აქტივები		14 621 105	7 335 931	1 509 580
პაღდმუშულებები და მფლობელთა კაპიტალი				
მფლობელთა კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
სარეზერვო კაპიტალი		-	-	-
აკუმულირებული მოგება / (ზარალი) პერიოდის დასაწყისისათვის		4 512 321	(78 205)	(1 383 502)
საანგარიშებო პერიოდი მოგება (ზარალი)		6 201 441	4 590 526	1 305 296
სულ მფლობელთა კაპიტალი		10 713 762	4 512 321	(78 205)
ბრძოლვადიანი პაღდმუშულებები				
გრძელვადიანი სესხები				
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები				
სულ ბრძოლვადიანი პაღდმუშულებები		-	-	-
მოკლევადიანი პაღდმუშულებები				
საგაყრო ვალდებულებები	4	20 425	18 350	12 811
გადასახდელი გადასახადები		286 406	42 223	23 876
ვალდებულებები დამფუძნებლის წინაშე		3 600 512	2 763 038	1 551 098
გადასახდელი ხელფასები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		0	0	0
სულ მოკლევადიანი პაღდმუშულებები		3 907 343	2 823 610	1 587 785
სულ პაღდმუშულებები და მფლობელთა კაპიტალი		14 621 105	7 335 931	1 509 580



დირექტორი:

ერის კაშკა

მთავარი ბუღალტერი:

მერაბ ართმელაძე

შპს "POSCH & PARTNERS"-ის წარმომადგენლობა

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

საქმიანობის შემდგომი ანგარიშგება	შედი 63	12 თვე		12 თვე	
		1 იანვარი - 31 დეკემბერი, 2019		1 იანვარი - 31 დეკემბერი, 2018	
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	7 184 444		5 389 329	
შრომის ანაზღაურება		(441 540)		(311 307)	
საპენსიო ფონდი		(4 919)		-	
საიჯარო ქირა		(256 909)		(201 551)	
საოფისე ინვენტარის ხარჯები		(72)		-	
საკანცელარიო ხარჯები		(5 145)		(8 420)	
სამეურნეო ხარჯი		(880)		(769)	
ტელეფონის ხარჯები		(3 231)		(2 326)	
ელ. ენერგიის ხარჯი		(3 227)		(2 688)	
წყლის ხარჯი		(331)		(136)	
ინტერნეტის ხარჯი		(100)		(75)	
შესრულებული სამუშაოს ღირებულება		(1 146)		(1)	
კომპიუტერის ხარჯები		(7 489)		(11 346)	
საკონსულტაციო ხარჯები		(202 322)		(154 766)	
საერთო დანიშნულების ძირ. საშუალებების ცვეთა		(2 730)		-	
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები				(38)	
საბანკო ხარჯები		(2 212)		(1 657)	
საწვავის ხარჯი		(33 873)		(23 284)	
ქონების გადასახადი		(224)		-	
გაზის ხარჯი		(4 856)		(1 571)	
დასუფთავების მოსაკრებელი		(132)		(73)	
საინჟინრო მომსახურება		-		(78 190)	
საპროცენტო შემოსავლები				-	
დადებითი საკურსო სხვაობები				135	
უარყოფითი საკურსო სხვაობები		(7 575)		(738)	
საგადასახადო ჯარიმები და საურავები		(633)			
საშემოსავლო გადასახადის კორექტირება		(3 458)			
განსაკუთრებული ხარჯები		-		-	
წმინდა მოგება / (ზარალი)		6 201 441		4 590 526	



დირექტორი:

ეროი კაშკა

მთავარი ბუღალტერი:

მერაბ ართმელაძე

შპს "POSCH & PARTNERS"-ის წარმომადგენლობა

კომპანიის საოპერაციო მონაცემები

შპს "POSCH & PARTNERS"-ის წარმომადგენლობა

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	1 იანვარი - 31 დეკემბერი, 2019	1 იანვარი - 31 დეკემბერი, 2018
ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოძმარებლისაგან მიღებული ნაღდი ფული	1 036 692	720 015
სხვა შემოსავლები		
მოწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(545 732)	(511 841)
წინასწარ გადახდილი ხარჯები		
თანამშრომლების სახელით გადახდილი ფულიად სახსრები		
გაცემული ხელფასი	(339 358)	(245 260)
საპენსიო ფონდში გადახდილი ფულიად სახსრები	(10 217)	-
გადახდილი გადასახადები	(1 127 666)	(992 306)
სხვა გადახდები		
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(986 281)	(1 029 392)
ფულადი სახსრების ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენაზე გადახდილი ფული	(6 144)	(15 118)
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი ფული		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:	(6 144)	(15 118)
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
დამფუძნებლების შენატანი	837 474	1 211 940
მიღებული პროცენტები		
გრძელვადიანი სესხის დაფარვა		
დადებითი საკურსო სხვაობა		135
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(7 575)	(738)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	829 900	1 211 336
ნაღდი ფულის და მისი ეკვივალენტების წმინდა შემცირება (ზრდა)	(162 525)	166 826
კონვერტაციის შედეგი		
ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის	197 150	30 324
ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	34 625	197 150



დირექტორი:

ერის კაშკა

მთავარი ბუღალტერი:

მერაბ ართმელაძე

შპს "POSCH & PARTNERS"-ის წარმომადგენლობა

კომპანიის საოპერაციო მონაცემები

შპს "POSCH & PARTNERS"-ის

წარმომადგენლობა

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის

31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	დაბროშილი მოგება/ (ზარალი)	სულ ფლობელთა კაპიტალი
	Statutory Capital	Reserves	Retained Earnings	Total
ბალანსი 31/12/2017			(78 205)	(78 205)
	-	-		
სააქციო კაპიტალი		-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება / (ზარალი)	-	-	4 590 526	4 590 526
ბალანსი 31/12/2018			4 512 321	4 512 321
	-	-		
სააქციო კაპიტალი		-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება / (ზარალი)	-	-	6 201 441	6 201 441
ბალანსი 31/12/2019		-	10 713 762	10 713 762
	-			



დირექტორი:

ერის კაშკა

მთავარი ბუღალტერი:

მერაბ ართმელაძე

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს "POSCH & PARTNERS"-ის წარმომადგენლობა (შემდეგში "კომპანია") არის უცხოური საწარმოს ფილიალი და დაარსდა 2007 წლის 19 ივნისს. დამფუძნებელია ავსტრიაში მოქმედი კომპანია "POSCH & PARTNERS"-ის მიერ.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი, ჯავახიშვილისა და ფიროსმანის კვეთა, მე-5 სართული, ბინა 198.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გერმანული სახელმწიფო ბანკის (KfW) მიერ დაფინანსებული ქალაქ ბათუმში და ქალაქ ზუგდიდში წყლისა და საკანალიზაციო სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების საზედამხებელო მომსახურება.

"POSCH & PARTNERS" კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია და როგორც კომპანიის მფლობელი გავლენას ახდენს მის საქმიანობაზე შემდეგი გზებით:

- კონტროლით კომპანიის დირექტორის თანამდებობაზე;
- კომპანიის საქმიანობაში მონაწილეობის უფლებით;
- დაფინანსებით;
- ახალი საქმიანობების დაწყებისთვის უფლების დამტკიცებით.

1. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

1.1 წარდგენის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ამ ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით. კომპანიის ფინანსური წლის დასასრული არის 31 დეკემბერი.

1.2 საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი თანხები მოცემულია იმ ვალუტაში, რომელიც საწარმოს სამუშაო გარემოში გამოიყენება („საოპერაციო ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება მოცემულია ქართულ ლარებში, რომლებიც კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს.

1.3 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები და ბალანსები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაყვანილია ადგილობრივ ვალუტაში ტრანზაქციების მომენტისათვის არსებული კურსით. მოგება და ზარალი მსგავსი გაცვლითი

კურსების გამო ტრანზაქციებზე და წლის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით ფულად აქტივებზე და ვალდებულებებზე, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, ასახულია შემოსავლებში.

1.4 ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას შემდეგი კატეგორიების სახით ახდენს: (1) ფინანსური აქტივი, რომლის რეალური ღირებულების კორექტირება ხდება მოგების ან ზარალის ანგარიშზე; (2) სესხები და მისაღები თანხები; (3) გასაყიდად ხელმისაწვდომი.

კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების შეძენის მიზნებზე. მენეჯმენტი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი პირველადი აღიარების მომენტში.

ფინანსური აქტივები, რომლის რეალური ღირებულების კორექტირება ხდება მოგების ან ზარალის ანგარიშზე. ფინანსური აქტივები, რომლის რეალური ღირებულების კორექტირება ხდება მოგების ან ზარალის ანგარიშზე არის ფინანსური აქტივები, რომლებიც განკუთვნილია სავაჭროდ. ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში, თუ მისი შეძენა მოხდა მოკლე ვადებში მისი რეალიზაციის მიზნით. ამ კატეგორიის აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე აქტივები.

სესხები და მისაღები სახსრები. სესხები და მისაღები სახსრები (დებიტორული დავალიანებები) წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ისინი განიხილება, როგორც მიმდინარე აქტივები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა თანხის მიღების ვადა აღემატება 12 თვეს ბალანსის შედგენის თარიღიდან. ამგვარი აქტივები კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები. სესხები და დებიტორული დავალიანებები კლასიფიცირდება, როგორც სავაჭრო და სხვა სახის მოთხოვნები ბალანსში.

ვადიანი ინვესტიციები. ვადიანი ინვესტიციები მოიცავს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრული საგადახდო ვადით, რომლებზეც კომპანიას გააჩნია საშუალებაც და სურვილიც, რომ შეინარჩუნოს ინვესტიციები დათქმულ ვადაზე. მენეჯმენტი ახორციელებს შეფასებას, თუ რამდენად შესაძლებელია აქტივის ამ კატეგორიაში კლასიფიცირება, კერძოდ კი რამდენად არსებობს შესაძლებლობა აქტივის სათანადო ვადით შენარჩუნების. თუ კომპანია ვერ მოახერხებს ამგვარი ინვესტიციების შენახვას სათანადო ვადით გარდა სპეციფიური (გამონაკლისი) სიტუაციებისა, მაგალითად როგორცაა მცირე ნაწილის რეალიზაცია, რომელიც თითქმის მიუახლოვდა ვადას, გაჩნდება აუცილებლობა მათი რეკლასიფიცირების როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი აქტივებისა. აქედან გამომდინარე უნდა მოხდეს ინვესტიციების შეფასება რეალურ ფასებად და არა ამორტიზირებულ ღირებულებად. ვადიანი ინვესტიციები განიხილება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

1.5 ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ახდენს საკუთარი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ორი კატეგორიიდან რომელიმეში, შესაბამისი აქტივის მიხედვით. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ყოველი კატეგორიისათვის შემდეგნაირია:

ფინანსური ვალდებულებები, რომლის რეალური ღირებულების კორექტირება ხდება მოგების ან ზარალის ანგარიშზე. ამ კატეგორიის ვალდებულებები ბალანსში ასახულია რეალური ღირებულებით, ხოლო მათი რეალური ღირებულების ცვლილებები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს: სავაჭრო ვალდებულებები და სხვა მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით.

1.6 ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები

ნაღდი ფული და ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ნაღდ ფულს, დეპოზიტებს ბანკებში და მიმდინარე საბანკო ნაგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

1.7 დებიტორული დავალიანებები

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხდება თავდაპირველი ანგარიშ-ფაქტურით განსაზღვრული ღირებულებისა და მოთხოვნების გაუფასურებისათვის შექმნილი რეზერვების სხვაობის თანხით. ასეთი აქტივების საბალანსო ღირებულება მცირდება საეჭვო ვალების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით და უიმედო ვალების ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში ადმინისტრაციული ხარჯებში. როდესაც სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამორება შეუძლებელია შესაბამისი მოთხოვნა ჩამოიწერება უიმედო ვალებში. უიმედოდ აღიარებული ვალის შემდგომ პერიოდში დაბრუნების შემთხვევაში შესაბამისი თანხა კრედიტდება ადმინისტრაციული ხარჯების ანგარიშზე.

1.8 დამატებული ღირებულების გადასახადი

კომპანიის საქმიანობები იბეგრება დღგ-ით. ამ მომსახურებებზე დღგ-ის განაკვეთი შეადგენდა 18%-ს.

1.9 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება საშუალო შეწონილი ღირებულებით.

კომპანიის მარაგები შედგება მხოლოდ საწვავისაგან, რაც აუცილებელია იჯარით აღებული საავტომობილო პარკის ოპერირებისათვის.

1.10 ძირითადი საშუალებები და ცვეთა

ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება შესაძლებელია. აქტივების მიმდინარე რემონტის (შეკეთებისა) და შენახვის დანახარჯები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებაში მათი გაწვევის პერიოდების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით:

ძირითადი აქტივების ჯგუფი	ცვეთა%
მიწა	-
შენობა ნაგებობები	წრფივი მეთოდი
მანქანა-მოწყობილობები	წრფივი მეთოდი
ოფისის აღჭურვილობა	წრფივი მეთოდი
კომპიუტერული ტექნიკა	წრფივი მეთოდი
ავეჯი და ინვენტარი	წრფივი მეთოდი
სატრანსპორტო საშუალებები	წრფივი მეთოდი

როდესაც ხდება ქონების ჩამოწერა ან სხვა სახით ცვლილება, ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსური ანგარიშებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებაში.

1.11 დაქირავებულ პირთა სარგებელი

განთავისუფლების გასამჯელო (დაზმარებები): განთავისუფლების გასამჯელოს გადახდა ხდება მაშინ, როდესაც თანამშრომლის საქმიანობის შეწყვეტა ხდება საპენსიო ასაკამდე საწარმოს გადაწყვეტილების შედეგად ან მომუშავეს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად გასამჯელოების მიღების სანაცვლოდ ნებაყოფლობით შეწყვეტოს შრომითი საქმიანობა. ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე მეტი პერიოდის გასამჯელოები დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე.

1.12 შემოსავლების აღიარება

კომპანია შემოსავლებს იღებს:

- ქალაქ ბათუმში წყლისა და საკანალიზაციო სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურებიდან
- ქალაქ ზუგდიდში წყლისა და საკანალიზაციო სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურებიდან

შემოსავლები მომსახურებიდან აღიარდება დარიცხვის მეთოდით

შენიშვნა 1 - ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31-დეკ-19	31-დეკ-18	31-დეკ-17
ფული სალაროში	-	-	-
ეროვნული ვალუტა ბანკში	21 787	197 150	30 324
უცხოური ვალუტა ბანკში	12 838	-	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	34 625	197 150	30 324

შენიშვნა 2 - დებიტორული მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	31-დეკ-19	31-დეკ-18	31-დეკ-17
ქ. ბათუმის მერია	7 285 744	2 918 671	1 468 776
შპს საქართველოს წყალმომარაგების კომპანია	7 270 203	4 196 325	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14 555 947	7 114 996	1 468 776

შენიშვნა 3 - სასაქონლო-მატერიალური მარაგი

მარაგები	31-დეკ-19	31-დეკ-18	31-დეკ-17
სათადარიგო ნაწილები	-	-	-
საწვავი	4 221	493	-
სულ მარაგები	4 221	493	-

შენიშვნა 4 - სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	31-დეკ-19	31-დეკ-18	31-დეკ-17
შპს ივიჯი	233	-	-
შპს მიდას ფილიალი	-	- 591	-
შპს ანეტი	1	1	1
შპს აქვა გეო	-	- 45	-
შპს უორდროპდალექსანდ	20 191	18 985	11660
ნანა ბუაძე	-	-	1150
სულ მარაგები	20 425	18 350	12811

შენიშვნა 5 - შემოსავალი რეალიზაციიდან

	31-დეკ-19	31-დეკ-18	31-დეკ-17
ქალაქ ბათუმის წყალკანალის სარეაბილიტაციო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება	4 117 434	2 678 695	-
ქალაქ ზუგდიდის წყალკანალის სარეაბილიტაციო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება	3 067 010	2 710 633	1 445 036
	7 184 444	5 389 329	1 445 036

შენიშვნა 6 - ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერული და საოფისე ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება			
საწყისი ნაშთი	15 990	7 164	23 153
დამატებები	3 249	2 072	5 321
გასვლები			-
საბოლოო ნაშთი	19 239	9 236	28 475
აკუმულირებული ცვეთა			
საწყისი ნაშთი	(1 176)	-	(1 176)
პერიოდის ხარჯი	(1 806)	(924)	(2 729,90)
გასული აქტივების აკუმულირებული ცვეთა			-
საბოლოო ნაშთი	(2 983)	(924)	(3 906)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
საწყისი ნაშთი	14 814	7 164	21 977
საბოლოო ნაშთი	16 257	8 312	24 569

შენიშვნა 7 - არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება			
საწყისი ნაშთი		1 461	1 461
შეძენები		-	-
გასვლები			-
საბოლოო ნაშთი	-	1 461	1 461
აკუმულირებული ცვეთა			
საწყისი ნაშთი		0	-
პერიოდის ხარჯი		-146	(146)
გასული აქტივების აკუმულირებული ცვეთა		-	-
საბოლოო ნაშთი	-	(146)	(146)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
საწყისი ნაშთი	-	1 315	1 315
საბოლოო ნაშთი	-	1 315	1 315

შენიშვნა 8 - საწარმოს უწყვეტობის დაშვება.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია უახლოეს მომავალში გააგრძელებს საქმიანობას. ეს დაშვება გამომდინარეობს კომპანიის მენეჯმენტის შეხედულებიდან არსებულ სიტუაციაზე და კომპანიის მნიშვნელოვნებიდან (არსებობის მნიშვნელობიდან) ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის. კომპანიას არ გააჩნია ლიკვიდაციის ან საკუთარი საქმიანობის არსებითად შემცირების სურვილი. კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ განაგრძობს თავის საქმიანობას.



დირექტორი:

ერის კაშკა

მთავარი ბუღალტერი:

მერაბ ართმელაძე